ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ლელო

№ 75 (8305)
16
1967 წ.
აპრილი.
კვირა.
ფასი 3 კაპ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 23-Ე ᲬᲔᲚᲘ



სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში. ხ უ რ ა თ ე ბ ზ ე: მარცხნივ — კიევის სპარტაკელთა და ოდესის ლოკომოტიველთა შეხვედრის მომენტი. მარჯვნივ [illegible] შეტევაზეა თბილისელი ი. ფხაკაძე. რიგელთა მეკარე ი. ვილსონმა კარგად აუღო ალღო თავდამსხმელის მოქმედებას და ბურთი მოიგერია.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

●

ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘ ᲘᲮ. ᲛᲔ-2 ᲒᲕ.

ᲒᲣᲨᲘᲜ...

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სპორტის სასახლეში გაიმართა ჩემპიონატის მორიგი მატჩები. შედეგები ასეთია: **ქალები.** „ბურევესტნიკი" (ალმა-ათა) — „ტექსტილშჩიკი" (ტაშკენტი) 14:9 (7:8), „ჟალგირისი" (ვილნიუსი) — „სპარტაკი" (კიევი) 5:19 (2:9), „ლოკომოტივი" (ოდესა) — „ლუჩი" (მოსკოვი) 8:16 (6:8); **ვაჟები.** ასკ (კიევი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 23:15 (11:5), „დაუგავა" (რიგა) — ასკ (ლვოვი) 20:22 (8:12), „ბურევესტნიკი" (თბილისი) — მაი (მოსკოვი) 15:15 (8:4).

მოგვყავს გათამაშების ცხრილები (მდგომარეობა 16 აპრილისთვის), რომლებშიც შედის ბაქოში გამართულ შეხვედრათა შედეგებიც.

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (კაუნასი)	5	4	0	1	91—64	8
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ბაქო)	5	4	0	1	79—59	8
„ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲔᲪᲘ" (სვერდლოვსკი)	5	3	0	2	65—50	6
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (ჩერკასი)	5	3	0	2	74—76	6
„ᲚᲣᲩᲘ" (მოსკოვი)	2	2	0	0	37—16	4
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (კიევი)	2	2	0	0	31—16	4
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (ალმა-ათა)	2	1	0	1	22—23	2
„ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (ვილნიუსი)	2	1	0	1	19—27	2
„ᲢᲔᲥᲜᲝᲚᲝᲒᲘ" (მინსკი)	5	1	0	4	56—78	2
„ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ" (ოდესა)	2	0	0	2	19—28	0
„ᲢᲔᲥᲡᲢᲘᲚᲨᲩᲘᲙᲘ" (ტაშკენტი)	2	0	0	2	17—35	0
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (კრასნოიარსკი)	5	0	0	5	59—100	0

ᲕᲐᲟᲔᲑᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ᲙᲣᲜᲪᲔᲕᲝ" (მოსკოვი)	5	5	0	0	116—83	10
„ᲞᲝᲚᲘᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘ" (მინსკი)	5	3	1	1	114—92	7
„ᲐᲚᲣᲛᲘᲜᲡᲢᲠᲝᲘ" (ზაპოროჟიე)	5	2	2	1	91—92	6
ᲐᲡᲙ (ბაქო)	5	2	1	2	97—99	5
ᲐᲡᲙ (ლვოვი)	2	2	0	0	41—35	4
„ᲑᲣᲠᲔᲕᲔᲡᲢᲜᲘᲙᲘ" (თბილისი)	2	1	1	0	46—39	3
ᲐᲡᲙ (კიევი)	2	1	0	1	38—34	2
„ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (მოსკოვი)	2	1	0	1	34—41	2
ᲛᲐᲘ (მოსკოვი)	2	0	1	1	33—34	1
„ᲑᲝᲚᲨᲔᲕᲘᲙᲘ" (ლენინგრადი)	5	0	1	4	82—106	1
„ᲟᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (კაუნასი)	5	0	1	4	103—131	1
„ᲓᲐᲣᲒᲐᲕᲐ" (რიგა)	2	0	0	2	44—53	0

Ა. ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ
ᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲡ ᲞᲘᲔᲢᲠᲐᲜᲯᲔᲚᲘᲡ

ᲞᲐᲚᲔᲠᲛᲝ, 15 აპრილი. ჩვენი ჩოგბურთის პირველმა „ჩოგანმა" ა. მეტრეველმა კუნძულ სიცილიის ამ ქალაქში გამართული ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის ნახევარფინალში დაამარცხა ნ. პიეტრანჯელი (იტალია) — 7:5, 7:5. ქართველი ჩოგბურთელი გადამწყვეტ მატჩში შეხვდება კანადელ მ. ბელკინს. ფინალში გავიდა აგრეთვე, ჩვენი შერეული წყვილი — ბაკშეევა და ლეიუსი. მათ ნახევარფინალში დაამარცხეს ჩილელები — ბულე და კორნეიო — 6:3, 6:3.

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲡᲐᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

14 აპრილს შედგა სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადის საორგანიზაციო კომიტეტის მორიგი სხდომა.

კომიტეტმა განიხილა დოსააფის ორგანიზაციებში სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ტექნიკურ სახეობებში შეჯიბრებების ჩატარების, უკრაინისა და უზბეკეთის სოფლის მოსახლეობაში სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მიმდინარეობის, სპარტაკიადის ღონისძიებების პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით და კინოში გაშუქების საკითხები. იმსჯელეს სსრ კავშირის ხალხთა და მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადების მონაწილეთა სამედიცინო მომსახურების თაობაზე.

კომიტეტმა მიიღო შესაბამისი დადგენილებანი.

სხდომას თავმჯდომარეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. კ. მაზუროვი.

ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲣᲓᲒᲐ ᲬᲕᲠᲗᲜᲐᲡ

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი შეუდგა საწვრთნელ შეკრებას უფროსი მწვრთნელის მ. იაკუშინისა და მწვრთნელის ვ. ცარიოვის ხელმძღვანელობით.

სავარჯიშოდ მოწვეულნი არიან: ი. საბო, ა. ბიშოვეცი, ფ. მედვიდი („დინამო", კიევი), ვ. აფონინი (ასკ, როსტოვი), ა. ბანიშევსკი, ე. მარქაროვი („ნეფტიანიკი"), ა. შესტერნიოვი (ცსკა), ა. კავაზაშვილი, ვ. ანდრეიუკი, ა. ლენიოვი, ვ. ვორონინი, ე. სტრელცოვი („ტორპედო", მოსკოვი), მ. ხურცილავა („დინამო", თბილისი), ლ. იაშინი, ი. ჩისლენკო („დინამო", მოსკოვი), ე. მალოფეევი („დინამო", მინსკი), ვ. დანილოვი („ზენიტი").

[illegible]

● **ᲢᲝᲙᲘᲝ, 14 აპრილი.** სსრ კავშირის ფრენბურთელთა ნაკრებმა გუნდებმა მორიგი მატჩები გამართეს. ამჯერად ისინი შეხვდნენ იაპონიის სტუდენტთა ნაკრები გუნდების კანდიდატებს. ქალები თამაშობდნენ ტიბაში, ხოლო ვაჟები — სენდაიში. ორივე შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით (3:0) მოიგეს სტუმრებმა.

● სტოკჰოლმი, 14 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალის პირველი მატჩები გამართეს საბჭოთა გუნდებმა. ქალთა ნაკრებმა დაამარცხა სახელგანთქმული რუმინელები — 3:0. ვაჟები ძალიან ძლიერ იუგოსლაველებს შეხვდნენ: დაძაბული ბრძოლის შემდეგ აქაც საბჭოთა სპორტსმენებმა იმარჯვეს — 5:3. ვაჟთა შეხვედრები ასე დამთავრდა: ამელინი — სტიპანჩიჩი 16:21, 12:21, სარხოიანი — კორპა 17:21, 18:21, გომოზკოვი — ვეცკო 21:18, 21.12, ამელინი — კორპა 16:21, 12:21, გომოზკოვი—სტიპანჩიჩი 19:21, 21:14, 21:14, სარხოიანი — ვეცკო 21:19, 19:21, 21:19, გომოზკოვი — კორპა 21:14, 21:14, ამელინი — ვეცკო 21:14, 21:12.

● სოჭი, 14 აპრილი. სსრ კავშირის ველოსიპედისტები გულმოდგინედ ემზადებიან მშვიდობის ველორბოლისთვის. სწორედ ამას ემსახურება შესარჩევი შეჯიბრება, რომელმაც ამ ქალაქში აიღო სტარტი. რბოლაში მონაწილეობს ჩვენი ქვეყნის 49 უძლიერესი სპორტსმენი და 10 სტუმარი მონღოლეთიდან. პირველი ეტაპის (129 კმ) ფინიშთან ყველაზე ადრე მოვიდა მინსკელი ვ. ტკაჩენკო — 3:08,0.

◆ ლონდონი, 15 აპრილი. დღეს „უემბლის" სტადიონზე 100 ათასამდე მაყურებელი დაესწრო ინგლისისა და შოტლანდიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩს. მსოფლიო ჩემპიონი დამარცხდა — 2:3.



◆ სტოკჰოლმი, 15 აპრილი. მაგიდის ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატში დასანანი მარცხი განიცადეს საბჭოთა სპორტსმენმა ვაჟებმა. მათ წააგეს გფრ-ის ჩოგბურთელებთან — 3:5. როგორც ჩანს, იმოქმედა იუგოსლაველებთან დაძაბულმა მატჩმა. არც იუგოსლაველებს დაადგათ კარგი დღე. მათ თითქმის უბრძოლველად წააგეს იაპონელებთან — 0:5. სამაგიეროდ, კვლავ ისახელეს თავი საბჭოთა ჩოგბურთელმა ქალებმა, რომლებმაც მოუგეს გფრ-ის გუნდს 3:1.

◆ **ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲘ, 16 აპრილი.** აქ გამართულ საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 8 ქვეყნის დიდოსტატები და ოსტატები მონაწილეობენ. I ტურში მოსკოველი ე. ვასიუკოვი ყაიმზე შეუთანხმდა რუმინელ ტ. გიცესკუს. თითო ქულა მოიხვეჭეს მასპინძლებმა — დიდოსტატმა ფ. გეორგიუმ და ოსტატმა ბ. შოთშმა.

◆ ნიუ-იორკი, 15 აპრილი. ოჰაიოს შტატის 25-იარდიან აუზში გაიმართა აშშ-ს ჩემპიონატი მოცურავე ქალთა შორის. დამყარებულ იქნა რამდენიმე ეროვნული რეკორდი. 2 მათგანი ეკუთვნის 16 წლის პ. კრუზეს: თავისუფალი სტილით 200 და 500 იარდზე ცურვაში (შესაბამისად 1.54,8 და 5.06,0). ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა კ. კოლმა 200 იარდზე კომპლექსურ ცურვაში აჩვენა — 2.11,8, ხოლო 400 იარდზე კომპლექსურ ცურვაში სარეკორდო დრო აჩვენა ხ. პედერსონმა — 4,41,4.

გოლების წვიმა

ხელბურთელთა VI საკავშირო ჩემპიონატი

თბილისი. სპორტის სასახლე. 14 აპრილი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „დაუგავა“ (რიგა) 31:24 (16:6).

ანგარიში ასე იცვლებოდა: 3:0, 3:1, 4:1, 4:2, 5:2, 5:3, 6:3, 6:4, 7:4, 7:5, 8:5, 8:6, 16:6, 16:8, 18:8, 18:9, 20:9, 20:10, 21:10, 21:11, 22:11, 22:12, 23:12, 23:13, 24:13, 24:14, 25:14, 25:16, 26:16, 26:18, 28:18, 28:20, 29:20, 29:23, 31:23, 31:24.

გოლების ავტორები არიან — თბილისელთაგან: ცერცვაძე — 10, ზარდალიშვილი — 7, ფხაკაძე — 6, გაზდელიანი — 3, კოპალეიშვილი — 2, ანთაძე, ექსეულიძე და კარტოზია — თითო, რიგელთაგან: ველდრე — 8, გულბისი და როზენტალი — 6-6, იუშელი — 2, პრიედნიეკსი და კალნინში — თითო.

შარშანდელ ჩემპიონატში თბილისის „ბურევესტნიკს“ რიგელები მასპინძლობდნენ. მაშინ ისინი ჩვენებს „სტუმართმოყვრულად“ დახვდნენ — მატჩი წააგეს, თუმცა, თბილისელებს გამარჯვება დიდ ჯაფად დაუჯდათ — მათ მხოლოდ ერთი ბურთის სხვაობით იზეიმეს წარმატება — 21:20.

ჩვენს ხელბურთელებს გაკვეთილი კარგად ახსოვდათ და, ეტყობა, შესაფერისადაც მოემზადნენ საპასუხო „სტუმარმასპინძლობისთვის“. ამან განსაკუთრებით ნათლად იჩინა თავი შესვენებამდე. „ბურევესტნიკმა“ თამაშის სწორი გეგმა აირჩია: დაცვაში ანთაძე წასწია წინ (დაცვის ე. წ. ვარიანტი 5—1) და რიგელთა ერთ-ერთ ძლიერ მოთამაშეს ველდრეს მიუჩინა მეურვედ. ამან ნაყოფი გამოიღო: ველდრემ მხოლოდ ერთხელ შეძლო ჩვენი კარის აღება სათამაშო სიტუაციიდან და ერთი ბურთიც 7-მეტრიანი საჯარიმოდან გაიტანა. რიგელთა იერიშებს სიმძლავრე მოაკლდა, უსიცოცხლო გახდა. ამას ისიც დაერთო, რომ სტუმრები ვეღარ უმკლავდებოდნენ თბილისელთა გამუდმებულ შეტევას. მასპინძლები შეუნელებლად ბომბავდნენ რიგელთა კარს და ყოველ მეორე წუთს მორიგი გოლი მოსდევდა. ცერცვაძემ პირველ ტაიმში 8 ბურთი გაიტანა, 3-3 უაღრესად ეფექტური გოლი განახორციელეს ფხაკაძემ და ზარდალიშვილმა. სტუმართა კონტრიერიშებს საუცხოოდ უმკლავდებოდა ჩვენი მეკარე აბაიშვილი (მეორე ტაიმში იგი ერთ ხანს ხუციშვილმა შეცვალა).

... მატჩის ბოლო 15 წუთში სურათი მთლიანად შეიცვალა. ველდრეს მეურვე ანთაძე დასასვენებლად წავიდა. რიგელ მოთამაშეს პერსონალურად აღარავინ მიუჩინეს (ეს ბაგრატიონისთვის იყო ზედგამოჭრილი, მაგრამ იგი ვარჯიშის დროს დაშავდა და იმ დღეს ვერ ითამაშა). ცერცვაძემაც კარგა ხანი დაყო სათადარიგოთა სკამზე. ყოველივე ამის გამო თამაში დაირღვა (განსაკუთრებით, დაცვაში), რიგელებმა შეძლეს სხვაობის საგრძნობლად შემცირება და მეორე ტაიმი მოიგეს კიდეც (18:15).

საერთოდ, ერთი რამ შეიმჩნევა: თბილისელები შესვენებამდე მოპოვებულ დიდ უპირატესობას თითქმის მუდამ კარგავენ მეორე ტაიმში. ვფიქრობთ, ამ ფსიქოლოგიური ზღუდის გადალახვა ერთხელ და სამუდამოდ საჭიროა, რადგან კოკა წყალს მუდამ ვერ მოიტანს.

სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ცერცვაძემ. საყოველთაოდ აღიარებულ ლიდერს ბოლო ხანს ხშირად ვსაყვედურობდით იმის გამო, რომ 7-მეტრიან საჯარიმოს უწინდებური ოსტატობით ვეღარ ასრულებდა. ამას ჰქონდა მიზეზი: ერთ ხანს გადაჭარბებული თვითდაჯერება, შემდეგ — შიში. საპოვნი იყო რაღაც საშუალედო და აი, ცერცვაძემ, ეტყობა, კვლავ მიაგნო იმას, რასაც ადრე ფლობდა. რიგელებთან მატჩში მან ძველებური ხელოვნებითა და სიდინჯით ტყორცნა 5 საჯარიმო...

ჯ. ენუქიძე.

„დინამოს“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატში, რომელიც ამას წინათ გაიმართა ლესელიძეში, სპორტის ოსტატმა ვ. ხანეევმა (სოხუმი) ბრწყინვალედ იასპარეზა — პირველობა მოიგო სიგრძეზე ხტომასა (762 სმ) და სამხტომში (16,32 მ). ეს უკანასკნელი შედეგი, როგორც ვიუწყებოდით, საქართველოს ახალი რეკორდია.

სურათზე: ვ. ხანეევი ასპარეზობისას.

ფოტო ვ. სემიონოვისა.

რაიონული გაზეთის ჯილდოზე

ოჩამჩირის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ქალაქის სკოლების გუნდური შეჯიბრება ჭადრაკში რაიონული გაზეთის გარდამავალ ჯილდოზე. პრიზი მოიპოვა რკინიგზის მე-15 სკოლის გუნდმა. II ადგილი დაიკავა მე-4 საშუალო სკოლამ, III — მე-3 საშუალო სკოლამ.

ვ. დოხნაძე.

პრობლემები, გამოკვლევები, ძიებანი

რას მოგვითხრობენ ტერმინები...

საქართველოში ჭადრაკის გავრცელების თარიღისა და გზების საკითხი

XI საუკუნიდან მოყოლებული, ჩვენმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახა ფრაგმენტული ცნობები ქართული ჭადრაკისა და საჭადრაკო ტერმინოლოგიის შესახებ.

ქართველმა მკვლევარებმა (მ. კეკელიძემ, მ. ვადბოლსკიმ, თ. გიორგაძემ, ს. ცაიშვილმა, გ. კარტოზიამ და სხვ.) გარკვეული მუშაობა გასწიეს ამ მემკვიდრეობის გამოვლენისა და შესწავლისთვის. კვლევის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ჩვენში ჭადრაკს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და მუდამ დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

ჭადრაკის ისტორიის შემსწავლელნი ინტერესს იჩენენ ჩვენში ამ თამაშის გავრცელების სავარაუდო თარიღისა და გზების მიმართ. ამ მიმართულებით კვლევა-ძიების ერთ-ერთ პირობად ჩვენ მიგვაჩნია ქართული საჭადრაკო ტერმინების შედარებითი შესწავლა ჭადრაკის აღმოსავლური ტერმინოლოგიის ფონზე.

ცნობილია, რომ ინდოეთში შექმნილ ჭადრაკის პირველსახეობას, ე. წ. ჩატურანგას (ოთხთა თამაში) VI საუკუნეში გაეცნო სასანელთა ირანი. ირანელებმა შეცვალეს არა მარტო თამაშის წესები, არამედ მისი სახელწოდებაც. ინდური ჩატურანგას ადგილი ირანულმა ჩატრანგმა დაიკავა.

ფალაურ ენაზე (საშუალო სპარსული, სასანელთა ირანის სახელმწიფო ენა) საჭადრაკო ტერმინოლოგია ასეთი იყო: ჩატრანგი — ჭადრაკი, შაჰი — მეფე, რუხი — ეტლი, ფილი (სპილო) — კუ, ფარზი ან ფარზანი — ლაზიერი, ასფი — მხედარი, პიადაკი (ქვეითი მეომარი) — პაიკი.

VII საუკუნის 40-ან წლებში, მას შემდეგ, რაც ირანი დაიპყრეს, ამ თამაშს არაბებიც გაეცნენ. VIII საუკუნის II ნახევრიდან კი ჭადრაკი, რომელიც ორის თამაშად გადაიქცა, არნახულად გავრცელდა მათში. გაჩნდნენ პირველი საჭადრაკო კომპოზიტორები და დიდოსტატები (ალიები), შეიქმნა სახელმძღვანელოები, ამოცანების და ეტიუდების კრებულები. არაბებმა გაავრცელეს ჭადრაკი უზარმაზარ ტერიტორიაზე, ირანიდან ესპანეთამდე. მათი მეშვეობით ამ თამაშს გაეცნო დასავლეთ და ცენტრალური ევროპის ბევრი ქვეყანა.

არაბებმა ზოგიერთი ცვლილება შეიტანეს საჭადრაკო ტერმინოლოგიაში. მათ ანბანში „გ“ და „ჩ“ არ არის და ამიტომ ჩატრანგმა მიიღო შატრანჯის სახე, პიადაკი ბაიდაკად იქცა, ფალაური ასფი ითარგმნა არაბულ ფარასად, ფარზ-ფარზანის ადგილი კი ვაზირმა დაიკავა.

ირანულ და არაბულ ტერმინოლოგიაში თითქმის საერთოა მუქარის აღმნიშვნელი ტერმინები. შაჰით და ქიშით მეფის მიმართ მუქარას გამოხატავდნენ, ხოლო შაჰ მათ (ფალაურად) ანდა, იშვიათად, შაჰ ვა მათ (არაბულად) დამამათებას ნიშნავდა.

მუქარას უცხადებდნენ ნებისმიერ სხვა ფიგურას, ან პაიკსაც კი. ასეთ შემთხვევაში იტყოდნენ: შაჰ ფილ, შაჰ რუხ და ა. შ.

ჭადრაკის დაფის არაბული სახელწოდება რუკა იყო.

თუ რუსული და ევროპის ქვეყნების საჭადრაკო ტერმინოლოგიას გადავავლებთ თვალს, შევამჩნევთ, რომ დასახელებული ტერმინების გარკვეული ნაწილი დღემდე შემორჩა მცირე ცვლილებით, ნაწილი კი ითარგმნა.

მსგავს მოვლენას აქვს ადგილი ქართულშიც, ქართულად თარგმნილ, ანდა ქართულ ნიადაგზე შექმნილ ტერმინებთან ერთად (მეფე, მხედარი, კუ, ეტლი) უცვლელად ან მცირე სახეცვლილებით შემოგვრჩა ირანულ-არაბული ტერმინებიც (ჭადრაკი, ლაზიერი, რუხი, შამათი, ქიში და რუკა).

უპირველესად გვსურს ყურადღება მივაქციოთ თვით „ჭადრაკს“.

ქართულ წყაროებში დამოწმებულია ამ სიტყვის სხვადასხვა ფორმა: ჭადრიგი, ჭანდრაკი და ჭანდრიკი. XI-XII საუკუნეებში „ჭადრიგი“, „ჭადრაკი“ მტკიცედ იყო დამკვიდრებული, თუმც მისი სათავეები უფრო შორს არის საძიებელი.

„ჭადრაკი“ არ ამჟღავნებს სემანტიკურ სიახლოვეს ინდურ „ჩატურანგასთან“, ანდა არაბულ „შატრანჯთან“, მაგრამ ნათელია მისი კავშირი ირანულ „ჩატრანგთან“, უფრო მეტიც, „ჭადრაკი“ უშუალო მემკვიდრეა „ჩატრანგისა“. საქმე ისაა, რომ ფალაურში არსებობდა „ჩატრანგის“ სხვა ფორმებიც, კერძოდ, „ჩატრაკი“. სწორედ ეს ფორმა გავრცელდა საქართველოში „ჭადრაკის“ სახით.

როდის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო? რა თქმა უნდა, არა XI-XII საუკუნეებში, როცა მთელ მახლობელ აღმოსავლეთში იხმარებოდა „შატრანჯი“ და არა ძველი ფალაური ფორმა „ჩატრანგი“ (ან „ჩატრაკი“).

ეს არც არაბთა ბატონობის ხანას შეიძლება მივაკუთვნოთ. როგორც ცნობილია, არაბთა შემოსევები ჩვენში VII საუკუნის 40-ანი წლებიდან იწყება, მაგრამ მტკიცედ საქართველოში არაბები მხოლოდ VIII საუკუნის 30-ანი წლებიდან გაბატონდნენ და ისიც ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში.

არაბულმა „შატრანჯმა“ ვერ დაიკავა ქართული „ჭადრაკის“ ადგილი. ეს კი მეტყველებს, რომ თამაშიცა და მისი სახელიც ჩვენში საკმაოდ ფეხგადგმული იყო არაბთა გაბატონებამდე.

ირანიდან საქართველოში ჭადრაკის გავრცელების თარიღად VI საუკუნის II ნახევარი და VII საუკუნის პირველი მესამედი უნდა მივიჩნიოთ. აღნიშნულ ხანაში ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული კავშირი მყარ საფუძველს უქმნის ამგვარ ვარაუდს.

საქართველო გამონაკლისი როდია. ირანელთა მეშვეობით გაეცნო ჭადრაკს ბიზანტიაც. ამ თამაშის ბერძნული სახელწოდება — ძატრიკიონი — სწორედ ფალაური „ჩატრანგიდან“ (ან „ჩატრაკიდან“) წარმოდგება (ბერძნულს არ გააჩნდა ფალაური „ჩ“-ს შესატყვისი ასო და ის ასო ძ-თი შეიცვალა). ამის საფუძველზე ჭადრაკის ისტორიის მკვლევარმა ფორბსმა ბიზანტიაში ჭადრაკის გავრცელების საწყის პერიოდად VII საუკუნის I ნახევარი მიიჩნია.

უშუალოდ ირანიდან უნდა გავრცელებულიყო ჭადრაკი სომხეთშიც, სადაც, ქართულის მსგავსად, სწორედ თამაშის ფალაური სახელწოდება დამკვიდრდა. გამოჩენილ სომეხ მეცნიერს აჭარიანს სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში მოჰყავს ამ ენაში დადასტურებული ფორმები: ჭანტრაკ, ჭატრაკ, ჭარტრაკ და ჭატრკუც.

არაბთა ბატონობის მანძილზე მათ შატრანჯს არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაზე. რომ არაფერი ვთქვათ რუკაზე, რომელიც ქართულსა და არაბულში ჭადრაკის დაფას აღნიშნავდა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ჩვენი „ლაზიერი“.

არაბულ შატრანჯში ირანული „ფარზანის“ პარალელურად გაჩნდა და მისი ადგილი დაიკავა „ვაზირმა“. ამ ტერმინის დამკვიდრება ანარეკლი იყო დიდი სახელმწიფოებრივი მოვლენისა, კერძოდ, VIII საუკუნის II ნახევრის სახალიფოში ვაზირის სამოხელეო ინსტიტუტის შექმნისა, რომელმაც უდიდესი გავლენა და ძალაუფლება მოიპოვა.

ქართული „ლაზიერი“ „ალ-ვაზირის“ („ალ“ განსაზღვრული არტიკლია არაბულში) სახეცვლილებას უნდა წარმოადგენდეს. იგი ჩვენში ამ ფორმით უნდა დამკვიდრებულიყო სწორედ VIII საუკუნის II ნახევარში, ანდა IX საუკუნის დასაწყისში. ამ პერიოდის საქართველოში როგორც ეს ტერმინი, ისე მისი შინაარსობრივი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ სიახლეს წარმოადგენდა. უფრო გვიან, X-XIII საუკუნეებში ქართულ წერილობით წყაროებში „ვაზირი“, როგორც სამოხელეო ტერმინი, სავსებით სწორი ფორმით გვხვდება, მაგრამ ეს გასაკვირი არაა. ვაზირის ინსტიტუტი უკვე მთელს მახლობელ აღმოსავლეთში იყო გავრცელებული.

ძველ საქართველოში კარგად იცოდნენ, რომ „ლაზიერი“ ჭადრაკში „ვაზირის“ სინონიმი იყო. ამას ადასტურებს სულხან-საბა ორბელიანის სიტყვები: ლაზიერი ჭადრაკის მეფის ვეზირი არისო („სიტყვის კონა“, თბილისი, 1949. გვ. 178).

ირანულ-არაბული ტერმინოლოგიიდან მომდინარეობს ქიში და შამათი. ეს უკანასკნელი ქართულმა მცირე ცვლილებებით შეითვისა: „შაჰ მათში“ ჰაე დაიკარგა და მივიღეთ „შამათი“.

პაიკი (ან ფაიქი) არ არის ირანულ-არაბული. ქართულმა ის, შესაძლოა, პიადაკ-ბაიდაკის ანალოგიით აიღო სპარსულიდან. მაშინ, როცა პიადაკი ქვეითი მეომრის სახელი იყო, პაიკი, ფაიქი შიკრიკს ნიშნავდა.

ქართულ ნიადაგზე შექმნილ, ანდა ქართულად თარგმნილ ტერმინებს (მეფე, მხედარი, კუ) ამჯერად ჩვენ არ შევეხებით.

ქართველმა მკვლევარებმა რამდენჯერმე გამოთქვეს აზრი, თითქოს ჩვენში ჭადრაკი უშუალოდ ინდოეთიდან იყოს შემოტანილი. კერძოდ, თ. გიორგაძე ამას წინათ გამოცემულ „შახმატნი სლოვარში“ წერს, რომ ეს თამაში ქართველებს ინდოელმა ვაჭრებმა გააცნეს VII-VIII საუკუნეებშიო.

მ. ვადბოლსკი ქართულ საჭადრაკო ტერმინოლოგიაში ინდური ჩატურანგის პირდაპირ გავლენას ხედავს. ამის საბუთად მას მიაჩნია ინდური [illegible] და ქართული „ეტლის“, უფრო ადრე კი „რუხის“ (მ. ვადბოლსკის აზრით, „შარუხის“) იგივეობა. ამ მოსაზრებას საფუძვლად შემდეგი გარემოება ედო. ირანულ-არაბული „რუხი“ მითიურ ფრინველს ნიშნავდა, ესე იგი, განსხვავდებოდა ინდური რატჰასაგან (ეტლისგან) ამდენად, მკვლევარის აზრით, ქართულ „რუხს“, რომელიც შემდეგ „ეტლით“ შეიცვალა, საერთო არაფერი უნდა ჰქონოდა ირანულ-არაბულ ტერმინთან.

ჩვენ ვერ გავიზიარებთ ამ შეხედულებას.

ჭადრაკის ისტორიის უდიდესმა სპეციალისტმა ჰ. მარეიმ სავსებით მართებულად აღნიშნა, რომ „რუხი“ ირანულ-არაბულ ჭადრაკში მითიური ფრინველის გარდა შინაარსობრივად სწორედ ეტლს გამოხატავდა.

ქართულში ეს ტერმინი („რუხი“) წინ უსწრებს „ეტლს“. „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანში ვკითხულობთ: „წავიდა იგი ჟამი და დღე, ოდეს ერთმან კუმან ორი შარუხი დასცეს“. ეს ნიშნავს: წავიდა ის დრო, როცა ერთმა კუმ ორ რუხს (ეტლს) მუქარა (შაჰი) გამოუცხადაო. შარუხი აქ ერთ ფიგურას კი არ აღნიშნავს, როგორც ფიქრობენ, არამედ ორი ტერმინისგან „შაჰ“ და „რუხ“ შედგება (ე. ი. შაჰი, მუქარა რუხს). „ვისრამიანის“ მთარგმნელმა, რომელმაც კარგად იცოდა ქართული საჭადრაკო ტერმინოლოგია, „რუხი“ არ შეცვალა. როგორც ჩანს, მან ვერ მოძებნა ამ ტერმინის ქართული შესატყვისი. „რუხის“ შეცვლა „ეტლით“ უფრო გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, XVIII საუკუნეში, თეიმურაზ II დროს, ეს უკანასკნელი ტერმინი უკვე დამკვიდრებული იყო.

ამრიგად, „რუხის“ შესწავლასაც ირანულ-არაბული საჭადრაკო ტერმინოლოგიისკენ მივყავართ. ეს გარემოება კი უარყოფს ქართულ ჭადრაკზე ჩატურანგას უშუალო გავლენასა და ჩვენში ამ თამაშის პირდაპირ ინდოეთიდან გავრცელების შესაძლებლობას.

ჭადრაკმა განვითარების დიდი გზა განვლო და უაღრესად დინამიკურ თამაშად იქცა. მაგრამ ადამიანის ემოცია პარტიის წაგება-მოგებისას, ალბათ, მუდამ ერთნაირი იყო. შუა საუკუნეებში ჭადრაკმა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში აზარტული ხასიათი მიიღო და ეს ბევრგან გახდა მისი აკრძალვის მიზეზი. მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში კი ასე არ უნდა ყოფილიყო. მუსლიმანურ ქვეყნებში საკმაოდ ბევრი აზარტული თამაში (ნარდი, ყომარი და სხვ.) იცოდნენ და ყოველ თამაშს თავისი თაყვანისმცემლებიც ჰყავდა. მუსლიმანური სამართალი კრძალავდა კამათლის თამაშს, მაგრამ ჭადრაკის მიმართ მას საწინააღმდეგო არა ჰქონდა რა. ასევე არ შეიძლებოდა ჭადრაკი აზარტულ თამაშად ქცეულიყო საქართველოში. ჩვენშიც, როგორც აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, თავისი მიმდევრები ჰყავდა ნარდს, ყომარს, ბანქოსა და განჯაფას. გავიხსენოთ თეიმურაზ II ერთი ლექსი, რომელსაც ჩვენი ჭადრაკის ისტორიკოსები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ:

ნარდითა და განჯაფითა, ბანქოთ
ბევრ ფულს მოიგებენ,
ვინც აჯობებს, გამოართმევს,
მოგებულს წინ დაიდებენ,
ყუმარბაზნი ხალისით დალალვას
აღარ გაიგებენ,
ორი-სამი დღე მოებას, ყუმარს
აღარ აიღებენ.
ჭადრაკსა ითამაშებენ ისე
თუთრუსელა (ფულზე. — გ. ჯ.)
ძვირადა,
მას კარგი ცოდნა, უყუფი
(დაფიქრება, მოთმინება.
გ. ჯ.) უნდა არვის სჭირს ხშირადა.
რომელსაც უზმენ შამათსა, მას
მიაჩნია ჭირადა,
აჯობებს, თუმცა ძმა იყოს, ეწყინოს
გასაკვირადა“.

ვფიქრობთ, ეს სიტყვები საკმაოდ ნათლად გამოხატავს ქართველი კაცის დამოკიდებულებას აზარტული თამაშების და ჭადრაკის მიმართ.

ქართული ჭადრაკის შესახებ, ალბათ, კიდევ ბევრი დაიწერება. ლიტერატურული წყაროების სათანადო შესწავლა კი უფრო მეტ მასალას გამოავლენს.

გ. ჯაფარიძე,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ასპირანტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]

ჯერ ულაზიეროდ

ნამდვილი ამბავი შუასაუკუნეების ცხოვრებიდან

ჰერცოგი რიჩარდი იმ დღესაც გატაცებით ეთამაშებოდა სასახლის არც თუ ძლიერ მოჭადრაკეს, ახალგაზრდა რაინდს. ამ ყმაწვილს სვლის დაბრუნება არ უყვარდა და არც მეტოქეს აძლევდა ამის უფლებას. იგი იბრძოდა, ვიდრე შამათს არ მიიღებდა.

როცა ამ დიაგრამაზე მოყვანილი პოზიცია მიიღო, მეტოქის ქცევით განაწყენებულმა რიჩარდმა თქვა:

— რაინდო, გიცხადებთ შამათს ორ სვლაში.



სწორედ მაშინ, როცა ჰერცოგი შავი მეფის დამამათებას აპირებდა, მასთან სასახლის ჯალათი შევიდა და სთხოვა სიკვდილმისჯილთა დასჯას დასწრებოდა.

მოულოდნელმა ვიზიტმა აღელვა რიჩარდი, მან ხელი სტაცა სპილოს ძვლისგან გამოჩარხულ ლაზიერს და ისეთი ძალით „შესწირა" ჯალათს, რომ იგი იქვე დაეცა.

რიჩარდმა ლაზიერი აღარ აიღო. მას ისედაც დიდი უპირატესობა ჰქონდა, პოზიციას გადახედა და მეტოქეს უთხრა:

— ახლა, ყმაწვილო, შამათს სამ სვლაში მიიღებთ!

...ჰერცოგს კვლავ შეუშალეს ხელი. დარბაზში მეორე ჯალათი შემოვიდა.

— ესეც შენ, — შეჰყვირა რიჩარდმა და ეტლი g5 შიგ შუბლში ესროლა არასასურველ სტუმარს.

მერე იგი ისევ თამაშს მიუბრუნდა. ერთხანს წარბშეკრული დაჰყურებდა დაფას და უცებ ეშმაკურად გაიღიმა:

— გეთაყვა, მე უეტლოდაც გიცხადებთ შამათს ოთხ სვლაში!

და ის იყო ფიგურას ხელი მოჰკიდა, რომ ოთახში კარისკაცმა შემოყო თავი. ჰერცოგმა იფეთქა და ახლა მას ესროლა h7 ეტლი.

კარი მიიხურა. რიჩარდი დაფიქრდა. მერე გადაიხარხარა:

— ესეც თქვენ, შამათი ხუთ სვლაში!

როგორც იქნა, ჰერცოგმა დაამამათა რაინდის მეფე.

რ. თავარიანი,
საჭადრაკო კომპოზიტორი.

რედაქციისაგან: ვიმედოვნებთ, რომ რ. თავარიანის ამოცანაში მკითხველები მიაგნებენ ოთხივე შამათს — ორ, სამ (ულაზიეროდ), ოთხ (ულაზიეროდ და უეტლოდ g5) და ხუთ (ულაზიეროდ, უეტლებოდ — g5 და h7) სვლაში.



უსიტყვოდ...

ნახატი
გ. კაკაბაძისა.

სიამოვნებით მოსაგონარი

1925 წლის შემოდგომით ჭიათურაში საგასტროლოდ ჩამოვიდა რუსთაველის თეატრი კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით. რეპერტუარი: „ჰამლეტი", „ლამარა", ს. შანშიაშვილის „მათრახის პანაშვიდი". თეატრალური ტრადიციების მქონე ქალაქი მოუთმენლად ელოდა ძვირფას სტუმრებთან შეხვედრას.

სწორედ ერთი წლის ჩამოყალიბებული გახლდათ ჭიათურის მოსწავლე ფეხბურთელთა გუნდი „წითელი სხივი". გუნდში თამაშობდნენ გოგია კვაჭაძე (ამჟამად სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი), გრიშა ტყაბლაძე (რესპუბლიკის სახალხო არტისტი), ჟორა აბაშიძე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი), ტერენტი გაფრინდაშვილი (მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის მამა), დათიკო გამრეკელი (რსფსრ-ს დამსახურებული მოღვაწე და რესპუბლიკის სახალხო არტისტი), ალიოშა ფხალაძე (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი), ამ სტრიქონების ავტორი და სხვები. კაპიტანი იყო ლევან გაჩეჩილაძე — ამჟამად მსხვილი ჰიდროელექტროსადგურების მართვის ცნობილი სპეციალისტი, ენგურჰესის დირექტორი.

თეატრის ჩამოსვლის დღესვე შევიტყეთ, რომ რუსთაველის თეატრის მსახიობებს ფეხბურთი ძალიან უყვარდათ. ისიც გვითხრეს, რომ მსახიობებს გუნდიც ჰყავდათ, კაპიტანი კი პიერ კობახიძე იყო. ლევან გაჩეჩილაძემ უშანგი ჩხეიძეს და შალვა ღამბაშიძეს მიაშურა, გაჩაღდა მოლაპარაკება და შეჯიბრების დღეც დაინიშნა.

მოსწავლეები ზუსტად დანიშნულ დროს გამოვცხადდით. მოვიდნენ რუსთაველის თეატრის მსახიობებიც. პიერმა გვითხრა, ცოტა ხანს კიდევ უნდა მოვიცადოთ, წინა ბეკი გვაკლიაო. პიერს გარდა ამ შეჯიბრების მონაწილეთაგან დამამახსოვრდნენ ვანო და გრიშა ლალიძეები, მიშა ლორთქიფანიძე.

წინა ბეკიც მოვიდა. ეს გახლდათ აკაკი ხორავა. დავინახეთ სანდრო ახმეტელიც მსახიობი ქალების თანხლებით.

აკაკი ხორავა ბურთს მაინცდამაინც არ დასდევდა, მაგრამ თუ შემთხვევა მიეცემოდა, ისე მძლავრად დაარტყამდა, რომ იმ ბურთს სტადიონის გარეთ ვეძებდით ხოლმე.

თამაში გახურდა. პიერმა წამოიღო ბურთი. გადაველობე, მაგრამ ისე კოხტად და მაგრად დამცა, რომ დიდხანს ვერ ავდექი. ბურთს მიუსწრო დათიკო გამრეკელმა, რომელიც ქარივით დაჰქროდა მინდორზე. პიერმა წამოაყენა და გადამკოცნა.

შეჯიბრება მოსწავლეებმა მოვიგეთ ანგარიშით 3:0.

მე და ჩემი ამჟამად უკვე ხანდაზმული მეგობრები სიამოვნებით ვიგონებთ იმ შეხვედრას.

გ. გურული.

სპორტის ისტორიიდან

საჭიდაო ხალიჩაზე... ქალები

თბილისში ხშირად იმართებოდა მოჭიდავე ქალთა შერკინება. ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება 1911 წელს მოეწყო ტრამვაის პარკის მახლობლად მდებარე „მოდერნში". ხალიჩაზე გამოვიდნენ მსოფლიო ჩემპიონი დამბერგი (გერმანია), ესპანეთის ჩემპიონი ჰორალდი, ინგლისის ჩემპიონი რეიტერი, შოტლანდიის ჩემპიონი კელტი, რუსეთის ჩემპიონი, „გოლიათად" წოდებული მოროზოვა, ნორვეგიის ჩემპიონი როზანგი, პოლონეთის ჩემპიონი იანკოვსკაია, ავსტრიის ჩემპიონი ოფენბაჰერი.

პირველობის პრეტენდენტები იყვნენ დამბერგი და მოროზოვა. მოროზოვამ დაამარცხა ოფენბაჰერი, იანკოვსკაია და რეიტერი. ფრედ დამთავრდა მისი 20-წუთიანი შეხვედრა ჰორალდთან. მსაჯის გადაწყვეტილებით . განაწყენებული მოროზოვა მიეარდა არბიტრს და მოულოდნელი ილეთით ძირს დასცა.

საინტერესო ჭიდილი გაიმართა „მოდერნში" მოროზოვას ბენეფისის დღეს, 1911 წლის 5 ივნისს. რუსმა გოლიათმა დაამარცხა კელტი, იანკოვსკაია, უკრაინელი შევჩენკო და სხვ. თბილისელ სპორტის მოყვარულებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა მსოფლიო ჩემპიონი ფ. დამბერგი. იგი საუცხოოდ ფლობდა ფრანგული ჭიდაობის ილეთებსა და ტექნიკას. ამასთან, ძალიან მოქნილი და სწრაფი იყო. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია დამბერგის შერკინებამ ჰორალდთან. მეტოქეები უჩვეულო ღონისა და სისწრაფისა იყვნენ. ასპარეზობამ 15 წუთს გასტანა. გაიმარჯვა დამბერგმა.

ა. ბარნოვი.

• • •

სურათზე: ფ. დამბერგი.

გვარს არ ვასახელებთ

რა ჯურის, ხასიათისა და ნერვების კაცს არ ნახავთ თბილისის „დინამოს" სტადიონზე! საყვარელი გუნდის წარმატებას უმრავლესობა ყვირილითა და ქანცის გაწყვეტამდე ტაშის კვრით ხვდება, მარცხს — ღრიალით, ოხვრით, მუქარით, ქაღალდზე რომ უხერხულია დაიწეროს, ისეთი სიტყვებით. ამ დროს შეიძლება სტადიონზე სასწრაფო დახმარების მანქანასაც მოჰკრათ თვალი, მაგრამ ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ასეა თუ ისე, სტადიონი ჩვენი დასვენებისა თუ აღელვების სარბიელია, მას ძალიან ჭრელი სტუმარი ჰყავს და ერთ-ერთის, ყველაზე ექსპანსიურის დახატვა განვიზრახეთ ჩვენს გაზეთში. ჩვენი ფოტორეპორტიორი მ. ზარგარიანი საგონებელში ჩავარდა. არჩევანი ვისზე შეეჩერებინა? სტადიონზე ყველა ტყუპი ძმებივით ჰგავდა ერთმანეთს. და აი, ფირზე აღიბეჭდა ერთ-ერთი „ძმათაგანი", რომელიც თამაშის დაწყებამდეც კი კანში ვერ ეტეოდა.

ავტორმა თავისი ფოტონარკვევი ასე დაასათაურა: „გვარის დაუსახელებლად". ანდა რა საჭიროა გვარის დასახელება, როცა თქვენს წინაშე პოპულარული და სახელგანთქმული გულშემატკივარია.

სურათებისთვის წარწერების გაკეთება შეიძლება არც კი იყო საჭირო, მაგრამ ჟურნალისტის სულწასულობა ხომ მოგეხსენებათ.

1. მსაჯმა თამაშის დაწყების ნიშანი მისცა. იწყება ჩვენი ტანჯვა-ვაება. იქნებ, სიხარული?!

2. როცა მეტოქენი თანაბარი ძალისა არიან, მთავარია რომელი ქალაქიდანაა... მსაჯი.

3. რა ერთმანეთს შესჩერებიხართ, შეუტიეთ!

4. ფუი, ეს ფეხბურთია თუ კეტჩი?

5. მიდით, თქვენ გენაცვალეთ. დაარტყით კარში... გავგიჟდები და ესაა!

6. არის!.. ასეთი ქვეყანა...

გუშინ...

წყალტუბოში გაიმართა საქართველოს ვაჟთა XXVIII საჭადრაკო ჩემპიონატის დასკვნითი, XIII ტური. ჯინჯიხაშვილმა მოუგო ბერაძეს, ჩიქოვანმა — ელიოზიშვილს, უბილავამ — მუკნიაშვილს, მიქაძემ — ხაბურზანიას. ყაიმით დამთავრდა გიორგაძე — ჯანოევის, ბლაგიძე— არნშტეინის, კალატოზიშვილი— ლომაიას შეხვედრები.

ამრიგად, პირველობა დამთავრდა. სატურნირო ცხრილში ადგილები ასე განაწილდა: I. რ. ჯინჯიხაშვილი — 10.5 ქულა, II. თ. გიორგაძე — 9, III-IV. ჯ. ბერაძე, გ. კალატოზიშვილი — 8-8, V-VII. თ. ლომაია, ი. ჩიქოვანი, ე. უბილავა — 7,5-7,5, VIII-IX. ჰ. არნშტეინი, ა. ბლაგიძე — 7-7, X. დ. ჯანოევი — 6, XI. ო. ელიოზიშვილი — 4,5, XII. ზ. მიქაძე — 4, XIII. გ. მუკნიაშვილი — 3, XIV. შ. ხაბურზანია — 1,5.

ს. გუგუნავა,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

ჭადრაკი

პირველი შედეგები

რუსთავი, 15 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ დაიწყო საქართველოს ვაჟთა პირველობა შაშში. ტურნირში მონაწილეობენ (კენჭისყრის მიხედვით): 1. გ. ჩატულიდი (თბილისი), 2. ა. კოჩიევი (ცხინვალი), 3. გ. ნინუა (თბილისი), 4. ი. მოძღვრიშვილი (ქუთაისი), 5. რ. რეხვიაშვილი (რუსთავი), 6. ჯ. კარმაზიანი (თბილისი), 7. ა. დულნიკოვი (ბათუმი), 8. ნ. მამაკოვი (თბილისი), 9. ოსტატი თ. ბარამიძე (რუსთავი), 10. ო. ზენაიშვილი (ფოთი), 11. რ. გაბაშვილი (თელავი), 12. თ. ბარამიძე (თბილისი), 13. გ. მალალაშვილი (გარდაბანი), 14. ი. სპესივცევი (თბილისი).

I ტურში ბარამიძემ (რუსთავი) მოუგო კარმაზიანს, კოჩიევმა — მალალაშვილს, ბარამიძემ — ნინუას, ზენაიშვილმა — რეხვიაშვილს. ყაიმით დამთავრდა სპესივცევ — ჩატულიდის, მამაკოვ — დულნიკოვის, მოძღვრიშვილ — გაბაშვილის შეხვედრები.

II ტურში ბარამიძემ (რუსთავი) მოუგო დულნიკოვს, კარმაზიანმა — ზენაიშვილს, ჩატულიდიმ — კოჩიევს, ნინუამ — მალალაშვილს, რეხვიაშვილმა — გაბაშვილს. ყაიმზე შეთანხმდნენ ბარამიძე — მოძღვრიშვილი. მამაკოვ — სპესივცევის პარტია არ შედგა.

რ. გაბრიჩიძე.

გუშინ...

III ტურში მოძღვრიშვილმა მოუგო მალალაშვილს, ზენაიშვილმა — დულნიკოვს, სპესივცევმა — კოჩიევს, კარმაზიანმა — გაბაშვილს. ყაიმით დამთავრდა თენგ. ბარამიძე — მამაკოვის, თამ. ბარამიძე — რეხვიაშვილისა და ჩატულიდი — ნინუას პარტიები. 3 ტურის შემდეგ ლიდერობს თენგ. ბარამიძე — 2,5 ქულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ქ. გუგუშვილი ესაუბრება თავის აღზრდილებს — სპორტის ოსტატებს (მარცხნიდან) ს. პარფინიდის, ლ. აბდალიანს და ს. სარხოიანს. მათგან ორი შარშანდელი შედეგების მიხედვით მაგიდის ჩოგბურთის საკავშირო ფედერაციამ სსრ კავშირის უძლიერესთა ოცეულებში შეიყვანა. პარფინიდი ამ სიაში მეთვრამეტეა, ხოლო სარხოიანი — მეორე. უძლიერეს ვაჟთა ოცეულებში შევიდა საქართველოს კიდევ ერთი სპორტსმენი — თბილისელი თ. რამაზაშვილი (IX). ამჟამად ს. სარხოიანი საბჭოთა კავშირის ღირსებას იცავს მსოფლიო ჩემპიონატში.

ფოტო პ. ქებაბჩიანისა.

დაწინაურდა ბოტვინიკის გუნდი

მოსკოვში გრძელდება დედაქალაქის გუნდური პირველობა ჭადრაკში. I ადგილისათვის ბრძოლა უმთავრესად სამ მოწინავე კოლექტივს „ბურევესტნიკს", „ტრუდსა" და „სპარტაკს" შორის მიმდინარეობს.

III ტურის შემდეგ 30 ქულით ლიდერობდნენ „ბურევესტნიკის" მოჭადრაკეები, მაგრამ IV ტურში მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მ. ბოტვინიკის გუნდმა — „ტრუდმა" საგულისხმო გამარჯვება მოიპოვა „ზენიტთან" შეხვედრაში (9,5:1,5) და 38,5 ქულით სატურნირო ცხრილის სათავეში მოექცა. გუნდების ლიდერების — ბოტვინიკისა და მოსკოვის ჩემპიონის, ოსტატ ბაკულინის შეხვედრა პირველის გამარჯვებით დასრულდა.

„ბურევესტნიკმა" რომელსაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი თავკაცობს, მოუგო ოფიცერთა სახლის გუნდს (7:3) და 37 ქულით II ადგილზე გადაინაცვლა. პირველ დაფაზე სმისლოვისა და ვ. ლიბერზონის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. III ადგილზეა „სპარტაკი" — 35 ქულა.

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

საფრანგეთი

მორიგ ტურში „რეიმსი" შინ შეხვდა „ნანტს" და ფრედ ითამაშა — 1:1. გათამაშების ლიდერმა „სენტ-ეტიენმა" თავის სტადიონზე მოუგო „ლანს" — 4:0.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ნიცა" — „სტრასბურგი" 2:1, „რუანი" — „მარსელი" 0:2, „ლილი" — „ბორდო" 1:2.

24-24 გოლით ხნაიპერთა სიას ლიდერობენ ჟ. ლეში („ლანი") და ა. რეველი („სენტ-ეტიენი").

	თ.	ბ.	ქ.
„სენტ-ეტიენი"	30	59:32	41
„ნანტი"	29	60:38	38
„ბორდო"	30	38:27	37

ჰოლანდია

XXX ტურში ამსტერდამის „აიაქსმა" ველზენში მოუგო ადგილობრივ „ტელსტარს" — 3:0, ხოლო როტერდამის „ფეიენოორდმა" — გრონინგენის ვავ-ს — 4:1.

დანარჩენი შედეგები: ადო (ჰააგა)— დოს (უტრეხტი) 6:1, „ტვენტე" — როტერდამის „სპარტა" 1:1, „ფორტუნა" — „გო ეჰედი" 1:1. ჩემპიონატის ფინიშამდე მხოლოდ 4 ტური დარჩა.

	თ.	ბ.	ქ.
„აიაქსი"	29	106:28	48
„ფეიენოორდი"	30	69:29	44
ადო	30	62:33	42

უნგრეთი

VI ტურში ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" შინ მოუგო „ჩეპელს" — 2:0, ხოლო ბუდაპეშტის „უიპეშტ დოჟამ" გასვლით მატჩში — „დუნაივაროშს" — 4:1.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „სეგედი" — „შალგოტარიანი" 6:3, ეგერის „დოჟა" — დიერის „ვაშაში" 2:1, „კომლო" — „ტატაბანია" 1:1, „ჰონვედი" — „დიოშდიერი" 1:4, მტკ — პეჩის „დოჟა" 1:0, „ჰალადაში" — ბუდაპეშტის „ვაშაში" 1:2.

	თ.	ბ.	ქ.
„ფერენცვაროში"	6	15:3	12
„უიპეშტ დოჟა"	6	19:3	10
„ვაშაში" (ბუდაპეშტი)	6	12:5	9

ბულგარეთი

„ჩერვენო ზნამემ" (სოფია) შინ წააგო პლოვდივის „ბოტევთან" — 1:3, ხოლო სოფიას „სლავიამ" ფრედ ითამაშა პერნიკის „მანიორთან" — 0:0.

	თ.	ბ.	ქ.
„ბოტევი" (პლოვდივი)	20	31:15	27
„სლავია" (სოფია)	21	23:19	26
„ბოტევი" (ვრაცა)	21	30:24	24

ფეხბურთი

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ყოველი მხრიდან

◆ რა დაემართა პელეს?

ამ კითხვითაა ახლა დაინტერესებული ბრაზილიის მთელი სპორტული პრესა. საქმე ის გახლავთ, რომ ცნობილი ფეხბურთელი, სამხრეთამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავი პელე ამ ბოლო ხანს ორჯერ გააძევეს მინდვრიდან. პირველად ეს მოხდა „კრუზეიროსა" და „სანტოსის" მატჩის დროს. როგორც გაზეთები წერდნენ, მაშინ წესრიგის დამცველები უკვე ემზადებოდნენ პელეს აღფრთოვანებული თაყვანისმცემლებისაგან მსაჯის დასაცავად. მაგრამ არბიტრს თავს არავინ დაესხმია: „თვით ყველაზე დიდი ფანატიკოსებისთვისაც ნათელი გახდა, რომ პელემ დაარღვია წესები და საერთოდ, უხეშად თამაშობდა".

მეორედ პელე „სანტოსისა" და „კოლო-კოლოს" მატჩში გააძევეს. განთქმულმა ფეხბურთელმა აქ უკვე ხელჩართული ბრძოლა გაუმართა ერთ-ერთ მეტოქეს და დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია როგორც მინდორზე, ისე ტრიბუნებზე.

◆ რა დაავიწყდა ვიტიგს?

ცნობილმა დასავლეთგერმანელმა სპორტულმა მიმომხილველმა ვიტიგმა ახლახან ჟურნალ „შპორტ-ილიუსტრირტეში" გამოაქვეყნა მოზრდილი წერილი საკმაოდ პრეტენზიული სათაურით: „ფიგურული სრიალი გერმანიაში".

წერილის მთავარი თეზისი ასეთი გახლავთ: „მას, ვისაც დღეს სურს რაიმეს მიაღწიოს მსოფლიოს საციგურაო სარბიელზე, უთუოდ მდიდარი მშობლები უნდა ჰყავდეს".

რა გვეთქმის, თუ გფრ-ზეა ლაპარაკი, ეს თეზისი შეიძლება არც იყოს საკამათო. ვინ გაითქვა სახელი ფიგურული სრიალის დასავლეთგერმანელ ოსტატებში? ერთ-ერთი მათგანია მილიონერის ქალიშვილი ინგა ბაუერი, რომელსაც გფრ-ის სპორტული გაზეთები „ქერათმიან ჭირვეულ გოგონად" მოიხსენიებენ. მარიკა კილიუსსა და ჰანს-იურგენ ბოიმლერსაც გვარიანად შეძლებული მშობლები ჰყავთ.

გფრ-ში მეტისმეტად ძვირი ჯდება ფიგურული სრიალით გატაცება. მაგალითად, მწვრთნელ ბაიერთან 20 წუთს ვარჯიში 15 მარკა ღირს. რეტინგერი და ცელერი 20 წუთში 10 მარკას მოითხოვენ. წარსულში ცნობილი სპორტსმენი კარლ შნელდორფერი, რომელიც ახლა მიუნხენში ცხოვრობს, ყოველ 20 წუთს 8 მარკად აფასებს. რასაკვირველია, თუ ჯიბის იმედი არა გაქვს, გფრ-ში ფიგურული სრიალის შესწავლაზე ვერც კი იოცნებებ.

ერთი სიტყვით, ვიტიგის განცხადება სრული ჭეშმარიტება იქნებოდა, მხოლოდ დასავლეთ გერმანიას რომ შეეხებოდეს. მაგრამ იგი „გერმანიაზე" ლაპარაკობს და ამ სიტყვით გდრ-საც გულისხმობს.

გდრ-ის ჟურნალმა „ცაიტ იმ ბილდმა" ასეთი პასუხი გასცა დასავლეთგერმანელ მიმომხილველს:

„თქვენი ნააზრევიცა და ამ ნააზრევის დასტურად მოყვანილი ფაქტებიც მართლაც დამახასიათებელია იმ სამყაროსთვის, რომლის წარმომადგენელიც თქვენ ბრძანდებით, მაგრამ გაიხსენეთ: იუგოსლავიის ქალაქ ლიუბლიანაში ამას წინათ ოვაცია გაუმართეს ქალიშვილს, რომელსაც მამა მილიონერი არ ჰყავს. ეს გოგონა სპორტული ოსტატობის მწვერვალს რომ მიაღწია და ევროპის ჩემპიონობა დაისაკუთრა ფიგურულ სრიალში, გაბი ზაიფერტი გახლავთ".

ვიტიგს კი არაფერი უთქვამს იმაზე, თუ როგორ გახდა გერმანელი მუშის ქალიშვილი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო სპორტსმენი.

ახალი სახელები

ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ წლეულს ამერიკაში მეტისმეტად გახშირდა მძლეოსანთა ტურნირები. ზოგიერთი სპეციალისტი შეშფოთდა კიდეც. მაგრამ „საიდუმლოება" ათლეტიკის სამოყვარულო კავშირის ხელმძღვანელებმა გახსნეს. საქმე ისაა, რომ ამერიკელებს უამისოდ გაუჭირდებათ ევროპის ნაკრებთან მოასპარეზე გუნდის დაკომპლექტება (როგორც ცნობილია, ამ ორი კონტინენტის მძლეოსანთა მატჩი აგვისტოში გაიმართება მონრეალში).

მარტის დამლევს დამთავრდა აშშ-ის მძლეოსანთა სამთვიანი ტურნირები დახურულ შენობაში. როგორც ცნობილია, ამ პერიოდში ბევრმა ამერიკელმა სპორტსმენმა საკმაოდ მაღალ შედეგებს მიაღწია: ახალგაზრდა სიგრძეზე მხტომელმა რ. ბიმონმა 822 სმ დაძლია, ხოლო რ. ბოსტონმა — 812 სმ. ჯ. რაიანმა 1 მილზე რბენაში აჩვენა 3.58,6, რ. სიგრენი 526 სანტიმეტრს გადაევლო ჭოკით. „მსოფლიოს მეფემ" რ. მატსონმა 21,53 მეტრზე ჰკრა ბირთვი.

მაგრამ ამერიკელებს ახსოვთ მწარე გაკვეთილები, როცა ამგვარი წარმატების შემდეგ ზაფხულში სსრ კავშირის ნაკრებთან წააგეს მატჩები. ახლა კი მათ საქმე ექნებათ ევროპის კონტინენტის უფრო ძლიერ გუნდთან (თუ, რა თქმა უნდა, ამ გუნდში სსრ კავშირის სპორტსმენებიც შევლენ).

ამერიკაში ზამთრის საშეჯიბრებო პერიოდი დამთავრდა და ისე დაიწყო ტურნირები ღია ცის ქვეშ, რომ მძლეოსნებს ამოსუნთქვის საშუალებაც არ მიეცათ. განვლილ სამ კვირაში ათობით ასპარეზობა გაიმართა. ბევრმა მძლეოსანმა ორ-სამ ტურნირში სცადა ძალა, მაგალითად, რ. მატსონი ჯერ კოლეჯ-სტეიშენში ასპარეზობდა ბირთვის კვრასა და ბადრის ტყორცნაში (20,95 მ, 53 მ), მერე დარედში გამოვიდა და ბირთვი 20,71 მეტრზე ჰკრა. მას აჯობა ნ. სტაინჰაუერმა, რომელმაც საკრამენტოში ასპარეზობისას 21,01 მეტრზე ჰკრა ბირთვი. ჯ. პაინსმა 200 იარდი 20,5 წამში გაირბინა ლარედოში, ბოსტონში კი 0,9 წამი დააკლო ამ შედეგს.

პირველმა სტარტებმა რამდენიმე ახალი სახელი გამოავლინა. მაგალითად, პასადენში 16 წლის ჯ. უილიამსმა 100 იარდი 9,5 წამში გაირბინა, სან-დიეგოში ჯ. გრინვუდმა 209 სმ სიმაღლე დაძლია, ტამპაში რ. მორტონმა ბადრო 56,48 მეტრზე ტყორცნა.

ერთი სიტყვით, აშშ-ის ათლეტიკის სამოყვარულო კავშირს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი რაც შეიძლება მეტი მძლეოსანი მოუმზადოს კონტინენტის ნაკრებს. როგორც ამ კავშირის ხელმძღვანელობამ განაცხადა, ორი კონტინენტის მატჩში მთელი სიმძიმე ფაქტიურად აშშ-ს ათლეტებს დააწვებათ.

მძლეოსნობა

18 აპრილს

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შედგება საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის, სპორტის დამსახურებული ოსტატის, საკავშირო კატეგორიის მსაჯის **ისაკ დიმიტრის ძე კიზირიას** დაბადებიდან 80 და მოღვაწეობის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი **საიუბილეო საღამო.**

დასაწყისი 17 ს.

თბილისის სპორტულ ბაზებში

თბილისის საიუბილეო სპარტაკიადა. ძალოსნობა. „განთიადის" სპორტდარბაზი (პლეხანოვის პრ. № 95). **16-17 აპრილი.** დასაწყისი 15 ს. **კროსი.** ძერჟინსკის სახ. კლუბი (ბესიკის ქ. № 4). **16 აპრილი.** დასაწყისი 18 ს. **ველოსპორტი.** საქართველოს სამხედრო გზის 30-ე კმ. **16-17 აპრილი.** დასაწყისი 11 ს.

ფეხბურთი. „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი). დღეს — დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 16 ს. ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

ჭადრაკი. ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **დღეს** — „საჭადრაკო კვირეული". ერთდროული თამაშის სეანსს ატარებს ნ. გაფრინდაშვილი. დასაწყისი 17 ს. საჭადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის კონკურსი. დასაწყისი 19 ს.

ხელბურთი. სპორტის სასახლე. **17 აპრილი.** ქალთა და ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი (I ტური). დასაწყისი 12 ს. და 20 ს.

ИНДЕКС 66418

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

6

უე 01025